საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს,

ასლი: მინისტრის მოადგილეებს -

ბატონ გიორგი წოწკოლაურსა და ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო ეკატერინე,

გვაქვს პატივი, მოგესალმოთ საქართველოს ანესთეზიოლოგიისა და კრიტიკული მედიცინის საზოგადოების და საქართველოს ანესთეზიოლოგიის და რეანიმატოლოგიის სკოლის სახელით.

როგორც მოგახსენებათ, ჯანდაცვის სფეროში კრიტიკული მნიშვნელობა აქვს პაციენტთა რეანიმაციული მომსახურების ხარისხსა და მაღალ სტანდარტს. ბოლო პერიოდში, ჯანდაცვის პოლიტიკის განხორციელებისას ბევრი დადებითი ნაბიჯი გადაიდგა ჩვენ სახელმწიფოში. კრიტიკული მედიცინისა და რეანიმაციის მიმართულება დასახელდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად, რაც ამ დარგის სპეციალისტებისათვის ძალიან დამაიმედებელი და სასიხარულო მოვლენა გახლავთ.

სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 ნოემბრის დადგენილების თანახმად (N 520) დრამატულად შემცირდა კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების დაფინანსება.

ფასების შემცირება, მინიმალური ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არარსებობის პირობებში, რისკის ქვეშ აყენებს პაციენტის უსაფრთხოებას. დაზუსტებისთვის - საკმაოდ დაბალია კრიტიკული მედიცინის განყოფილების სანებართვო სტანდარტი, სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული კლინიკური სტანდარტები მოძველებულია, ბევრ კლინიკურ საკითხზე იგი საერთოდ არ არსებობს. განსაკუთრებულ ზიანს ეს ცვლილებები მოუტანს დიდ, რეფერალურ კლინიკებს სადაც ყველაზე მძიმე კონტინგენტი იყრის თავს და მკურნალობის განსაკუთრებით დიდი ხარჯებია საჭირო.

გთხოვთ, პაციენტის მინიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გავმართოთ მსჯელობა შემდეგ საკითხებზე:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა
შრომის, ჯანმრთელობისა და სოціალური დაცვის სამინისტრო
15 05
030115100068719

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
შემოს. № 173206
"12" 12 2019 წ.
ფურცელი 4

- შეიცვალოს ანესთეზიოლოგია - რეანიმატოლოგიის განყოფილების სანებართვო პირობები, ევროპის ინტენსიური მედიცინის ასოციაციის (ESICM) ამერიკის კრიტიკული მედიცინის ასოციაციის SCCM) რეკომენდაციებზე დაყრდნობით;

- მტკიცებითი მედიცინის პრინციპებზე დაყრდნობით დამტკიცდეს მწვავე რესპირატორული დისტრეს სინდრომის(ARDS) ნაციონალური გაიდლანი

- ახალი სანებართვო პირობების და კლინიკურ გაიდლაინებზე დაყრდნობით შემუშავდეს ტარიფი ისეთი დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებისთვის ან სინდრომებისთვის, რომლებიც მოითხოვენ მულტიდისციპლინურ მკურნალობას, როგორიცაა- სეფსისი, სეპტიური შოკი, მოზრდილთ რესპირატორული დისტრეს სინდრომი, რომელთა მკურნალობაც ყველაზე დიდ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს.

- შემუშავდეს და დამტკიცდეს ხარისხის ინდიკატორები ანესთეზიოლოგიასა და ინტენსიურ თერპიაში, რომლის მიხედვითაც, განისაზღვრება სახელმწიფო პროგრამებში ამა თუ იმ დაწესებულების მონაწილეობა და შესაბამისად, დაფინანსებაც.

იმედი გვაქვს, ჯანდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტად კვლავაც შენარჩუნდება ანესთეზიოლოგიისა და ინტენსიური თერპაიის მიმართულება და მისი განვითარება და ამ მხრივ კიდევ არაერთი პროგრესული ნაბიჯი გადაიდგმება. ასევე, მივესალმებით ხარისხობრივი ინდიკატორების განსაზღვრას ICU-ში, რომლის მიხედვითაც, მიზანშეწონილია განისაზღვროს სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა და შესაბამისი დაფინანსება. დარგობრივი ასოციაციები და ექსპრეტები კიდევ ერთხელ ადასტურებენ მზაობას, მაქსიმალური წვლილი შეიტანონ მედიცინის ამ მნიშვნელოვანი დარგის სრულყოფის საქვეყნო საქმეში.

პატივისცემით,

მამუკა ჩხაიძე

საქართველოს ანესთეზიოლოგიისა და კრტიკული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტი, ასოცირებული პროფესორი,

გიორგი გრიგოლია

საქართველოს ანესთეზიოლოგიის და რეანიმატოლოგიის სკოლის დამფუძნებელი, კლინიკა "ღია გულის" ანესთეზიოლოგიის და ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტის სეკომძღვანელი, პროფესორი

ზაზა მეტერეველი

საქართველოს ანესთეზიოლოგიისა და კრიტიკული მედიცინის საზოგადოების თანადამფუძნებელი;

საქართველოს კატასტროფის და კრიტიკული მედიცინის ასოციაციის თანადამფუძნებელი;

საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს ექსპერტი კრიტიკულ მრდიცინაში;

ქართულ-ჰოლანდიური ჰოსპიტალის სამედიცინო დირექტორი;

ვახტანგ გორგასლისა და ღირსების ორდენების კავალერი;

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პრემიის ლაურეატი მედიცინაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის

მერაბ თევზაძე

პროფესორი

ვახტანგ კალოიანი

საქართველოს ანესთეზიოლოგიისა და კრტიკული მედიცინის ასოციაციის დამფუძნებელი

577-43-20-01